



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 20

ქ. გარდაბანი

28/02/2023

20-06-4-202302281516



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქუჩა №1-ში, №1 კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 199.98 კვ.მ ფართის (ს/კ №81.15.15.132.01.500) ააიპ „ბავშვი და გარემოსთვის“ 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის, მეოთხე, მეხუთე ნაწილებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 23 თებერვლის N18-182305484 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქუჩა №1-ში, №1 კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 199.98 კვ.მ ფართი (ს/კ №81.15.15.132.01.500) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ააიპ „ბავშვი და გარემოს“, 2 (ორი) წლის ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე